გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

13 მარტი 2024

N 2-337

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„შპს „ნემერაზე“ „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 5 დეკემბრის N2-916 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის N63-ე მუხლისა და შპს „ნემერას“ 2024 წლის 20 თებერვლის N4619 განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „შპს „ნემერაზე“ „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 5 დეკემბრის N2-916 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაიცეს შპს „ნემერა“-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 205206588) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა (N000033) შემდეგი ნივთიერებების იმპორტისათვის შესაბამისი ოდენობით:

- 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) – 47 000 კგ;
- R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 32 000 კგ;
- R410A (HFC-32/HFC-125) – 13 000კგ;
- R507(R507A ან R507C) (HFC-143a/HFC-125) – 11 000კგ;
- R448A (HFC-32/HFC-125/ HFC-134a/ HFO-1234YF/ HFO-1234ZE) - 700კგ;
- R449A (HFC-32/HFC-125/ HFC-134a/HFO-1234YF) - 200კგ;
- დიფთორმეთანი (HFC-32) – 5 000კგ;
- R407C (HFC-32/ HFC-125/HFC-134a) – 5 000კგ;

- ქლორდიფთორმეთანი (HCFC-22) – 13 900კგ. “

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ნემერას“.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი